

საიტის მართვის სისტემა CMS BinN S. Builder

ეკატერინე ჩიკაშუა, ზაზა ცირაძე, თინათინ კაიშაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ვებ-საიტის მართვის პრინციპები. დღესდღეობით გლობალურ ქსელში საკუთარი პროფესიონალურად გაფორმებული და ტექნიკურად გამართული ვირტუალური წარმომადგენლობის ქონა გახდა სტაბილურობისა და კომპეტენტურობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. წარმოდგენილია საიტის ადმინისტრირების მოხერხებული და ადვილად ასათვისებელი სისტემა BinN S. Builder-ი. რომელიც შედგება სხვადასხვა დანიშნულების მრავალი მოდულისაგან. საიტის ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს მოდულების სასურველი კომპლექტაცია. განხილულია სისტემის ფუნქციონირების საკითხები და მათი უპირატესობები.

საკვანძო სიტყვები: ვებ-საიტი, ვებ-ტექნოლოგიები, საიტის ადმინისტრირება, საიტის მართვის სისტემა.

1. შესავალი

ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე იზრდება. კომუნიკაციის ამ საშუალებით საქართველოში ასობით ათასი ადამიანი სარგებლობს. დღესდღეობით ინტერნეტის გლობალური ქსელი ორგანიზაციის საქმიანობასა და მომსახურებაზე ინფორმაციის გავრცელების ყველაზე გამოყენებად და მოხერხებულ გარემოდ იქცა. როგორც წესი, პოტენციური პარტნიორები და კლიენტები ორგანიზაციის შესახებ ძირითად ინფორმაციას ინტერნეტის ქსელიდან იღებენ. ამიტომაც პირველი გაცნობა კომპანიასთან ხორციელდება მისი კორპორატიული ვებ-საიტის მეშვეობით. დღეს უკვე გლობალურ ქსელში საკუთარი პროფესიონალურად გაფორმებული და ტექნიკურად გამართული ვირტუალური წარმომადგენლობის ქონა გახდა სტაბილურობისა და საქმისადმი კომპეტენტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. საიტზე კარგად ორგანიზებული და ოპერატიულად განახლებული ინფორმაცია საქმიანობის გაფართოვების საშუალებას იძლევა.

ნებისმიერი ვებ-საიტი ზოგადად წარმოადგენს HTML გვერდების ორგანიზებულ ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთთან ჰიპერბმულებითაა დაკავშირებული [1]. ჰიპერბმულები იძლევა საშუალებას უმაღლეს მიწვედეთ აუცილებელ ინფორმაციას, მიუხედავად მისი ადგილმდებარეობისა.

როგორც წესი, საიტის პირველი გვერდი, რომელზეც ხვდება მომხმარებელი, მის მთავარ გვერდს წარმოადგენს. საიტის თითოეული გვერდი შედგება სხვადასხვა ტიპის ელემენტების განუსაზღვრელი რაოდენობისაგან: ტექსტის ბლოკები, სურათები, ინფორმაციის შეყვანის ველები, ნავიგაციის ღილაკები, ბმულები და ა.შ. ნებისმიერ გვერდს თავისი ვებ-დინამიკური გააჩნია, რაც განაპირობებს საიტზე გვერდის ყველა ელემენტის ასახვას.

აღნიშნულ სტატიაში განვიხილავთ საიტის მმართველობის მოხერხებულ და ადვილად ასათვისებელ სისტემა CMS BinN S. Builder, რომელიც თანამედროვე პირობებში საიტის ადმინისტრირების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.

2. ძირითადი ნაწილი

CMS BinN S. Builder სისტემა წარმოადგენს ცალკეული მოდულების ერთობლიობას, რომელიც ახდენს გარკვეული ფუნქციების რეალიზებას საიტის შექმნისა და მართვისათვის. ზოგიერთი მოდული, მაგალითად, მოდული ახალი ამბების ლენტი ინფორმაციული ხასიათისაა, ვინაიდან გამიზნულია საიტის სხვადასხვა ტიპის ინფორმაციით უშუალო შევსებისათვის. ხოლო ისეთი მოდულები, როგორცაა საიტის მენიუს მართვა, რუბრიკატორი და სხვა გამიზნულია საიტის მოხერხებული ნავიგაციის რეალიზაციისათვის და მისი ელემენტების ფუნქციონალურობისათვის.

განხილოთ CMS BinN S. Builder სისტემის უპირატესობები [2]:

- **მოხერხებული ადმინისტრირება** - პროგრამა არის უაღრესად იოლად ასათვისებელი და ასევე იოლად გამოსაყენებელი. ტექსტთან მუშაობა მთლიანად დაფუძნებულია მძლავრ ვიზუალურ რედაქტორზე და არ არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მოზიდვის აუცილებლობა.

- **მუდმივი განახლებები** - სისტემა მუდმივად განახლების პროცესშია: იხვეწება არსებული და მუშავდება ახალი მოდულები, ხდება ალგორითმების ოპტიმიზაცია, ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტების გამოყენება.

- **მზა მოდულების დიდი არჩევანი** - სხვადასხვა მოდულების მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია საიტზე განათავსოს არა მხოლოდ ტექსტური ბლოკები, არამედ სიახლეები, უკუკავშირის ფორმები, პროდუქტების კატალოგები და მრავალი სხვა.

- **საკუთარი მოდულების შექმნის შესაძლებლობა** - იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჰყავთ პროგრამისტები, შეუძლიათ შექმნან და სისტემაში ჩართონ საკუთარი მოდულები.

როგორც ავლინებთ, SBuilder-ი შეიცავს სხვადასხვა დანიშნულების მრავალ მოდულს, რომელთაგანაც მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს სასურველი კომპლექტაცია მისი საიტის ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საიტის მართვის სისტემა SBuilder-ი გვთავაზობს შემდეგ მოდულებს [3]: სისტემის ბირთვი, მენიუ, სიახლეები, დოკუმენტების მართვა, სარეკლამო კამპანიები, სურათების გალერეა, პუბლიკაციები, დაგზავნის სია, უკუკავშირის ფორმები, გამოკითხვა, ხ.დ.კ., ფორუმი, ფორმების კონსტრუქტორი, ბმულების გაცვლა, კალათა, პროდუქტების კატალოგი, სისტემასთან წვდომის გამიჯვნა, საიტთან წვდომის გამიჯვნა, ფაილების მართვის პანელი, ძიება, ტესტირება.

განხილოთ სისტემის ცალკეული მოდულები და მათი დანიშნულება:

- **სისტემის ბირთვი** საიტის შექმნისათვის აუცილებელი მოდულია. ეს მოდული უზრუნველყოფს სისტემის ძირითადი შესაძლებლობების რეალიზაციას, ახალი მოდულების ჩართვას და მოდულების გაერთიანებას ერთიან ინტერფეისში. ამ მოდულის დაყენება აუცილებელია სისტემის კორექტული ფუნქციონირებისათვის.

სისტემის ბირთვი მოიცავს: გვერდების კონსტრუქტორს, ტექსტებისა და გვერდების ვიზუალურ რედაქტორს, ტექსტებისა და გვერდების მართვის ფუნქციას, საიტის შაბლონების მართვის ფუნქციას,

სისტემის მომხმარებლების მართვის ფუნქციას, ფაილების პანელს, სისტემის პარამეტრების მართვის ფუნქციას.

- **მენიუს მოდულის** მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია შექმნას შეუზღუდავი რაოდენობის მენიუები საიტზე. აღნიშნული მოდული საშუალებას იძლევა მოკლე დროში შექმნას კარგი დიზაინის მქონე მაღალფუნქციონალური მენიუ საიტის მოხერხებულად დათვალიერებისათვის, რაც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, რამდენადაც იოლი და გასაგები ნავიგაცია წარმოადგენს ყველა ინტერნეტ-პროექტის წარმატების აუცილებელ წინაპირობას! მოდულის მოქნილი ფუნქციონალის დახმარებით იქმნება არა მხოლოდ ჩვეულებრივი ტექსტური და გრაფიკული მენიუ, არამედ სხვადასხვა სახის ამომავალი თუ ჩამოსაშლელი მენიუებიც. მოდული ასევე მხარდაჭერას უკეთებს საიტის რუკის დიზაინს და საიტზე გზის ჩვენებას.

- **სიახლეების მოდული** აუცილებელია ყველა დინამიურად განვითარებადი ორგანიზაციისათვის, რომელთაც სურთ ვიზიტორების ინფორმირება მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. სისტემაში ინტეგრირებული რედაქტორის მეშვეობით შეგიძლიათ სიახლეებში არა მარტო ტექსტის ჩაწერა და ფორმატირება, არამედ ცხრილებისა და ნახატების ჩასმაც.

ამის შემდეგ სისტემა მითითებული დიზაინის საფუძველზე განათავსებს სიახლეს საიტზე, საჭიროების შემთხვევაში შექმნის ლილაკს დაწვრილებით, დააწესებს შეზღუდვას ერთ გვერდზე განთავსებული სიახლეების რაოდენობაზე, გიჩვენებთ კალენდარს არქივში სიახლეების ძებნისათვის და ამ უკანასკნელთა დიდი რაოდენობისათვის, თავად მოახდენს გვერდებზე მათ გადანაწილებას.

- **დოკუმენტების მართვა** თუ საიტის მომხმარებლებმა უნდა მოახდინონ სხვადასხვა ტექსტური ფაილების (Word, Excel, PDF) გადმოწერა, ამ მოდულის დაყენება ძალიან გავაადვილებთ ფაილების მართვას. ეს მარტივი და გასაგები მოდული დაგეხმარებათ როგორც საიტზე სხვადასხვა დოკუმენტების შენახვაში, ისე ამ ფაილებთან მომხმარებელთა წვდომის ორგანიზებაში.

- **სარეკლამო კამპანიები** მოდული იძლევა საიტზე სარეკლამო ბანერის განთავსების ან მასშტაბური სარეკლამო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობას. მოდულს გააჩნია მარტივი ინტერფეისი და ძალიან მდიდარი ფუნქციონალური შესაძლებლობები! მისი დახმარებით შესაძლებელია მიუთითოთ სარეკლამო ბანერის ჩვენების თარიღის დიაპაზონი, ჩვენების რაოდენობა, ბანერის პრიორიტეტი, ის გვერდები რომლებზეც ბანერის ჩვენება არ უნდა მოხდეს.

- **სურათების გალერეა** ხშირად საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარდა საჭიროა საიტზე სურათების, სქემების და სხვა სახის გრაფიკული გამოსახულებების განთავსება. მოცემული მოდული, საშუალებას იძლევა არა მარტო ატვირთოთ ახალი სურათები საიტზე და შექმნათ მათი მოკლე ანოტაცია, არამედ მინიმალურ დროში დამოუკიდებლად მოახდენს გამოსახულებების შემცირებული ასლების გენერირებას მათი წინასწარი დათვალიერებისათვის, განათავსებს გალერეაში ნავიგაციის მოხერხებულ ლილაკებს.

- **პუბლიკაციების** მოდული გამიზნულია საიტზე სხვადასხვა სტატიების განთავსების, მათი განხილვისა და თემატიკის გარშემო ხმის მიცემის ორგანიზებისათვის. იგი აუცილებელია დიდი

რაოდენობით სტატიების შემცველი დინამიური ვებ გვერდისათვის. მოდული მოგაწვდით სრულ სტატისტიკას სტატიის ჩვენების, ხმის მიმცემთა რაოდენობისა და რეიტინგის შესახებ, ვიზიტორებს კი საშუალება ეძლევათ გამოთქვან საკუთარი აზრი ყველა პუბლიკაციის შესახებ.

- **დაგზავნის სიების** მოდულის საშუალებით შესაძლებელია მომხმარებელთა ინფორმირება საიტზე განთავსებული სიახლეების შესახებ. ინტერნეტში არსებული ვებ-გვერდების დიდი რაოდენობის გამო შეიძლება მომხმარებელი, მოწონების შემთხვევაშიც კი, განმეორებით აღარ დაუბრუნდეს ვებ საიტს. მოდული დაგზავნის სიის გამოყენება იძლევა დაინტერესებული მომხმარებლის შენარჩუნების საშუალებას და უზრუნველყოფს მათ დაბრუნებას აღნიშნულ საიტზე. ყოველ ვიზიტორს ეძლევა შესაძლებლობა დატოვოს თავისი ელ-ფოსტის მისამართი საიტის მონაცემთა ბაზაში, რის შემდეგაც იგი მიიღებს იმ ინფორმაციას სიახლეების თაობაზე.

- **უკუკავშირის ფორმების** მოდული გამოიყენება საიტზე მარტივი ფორმების შექმნისათვის, რომლებიც შეივსება მომხმარებლების მიერ და გამოიგზავნება სიტის ადმინისტრატორთან.

- **გამოკითხვის** მოდული გამოსადეგია მათთვის, ვისაც აინტერესებს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საიტის ვიზიტორთა შეხედულება. მოდული ავტომატურ რეჟიმში მოახდენს ვიზიტორთა ხმების დათვლას და მოხერხებული ფორმით გიჩვენებთ სტატისტიკას.

- **ხ.დ.კ.** მოდული გამიზნულია საიტზე სტუმართა წიგნის ან ხშირად დასმული კითხვების განყოფილების შესაქმნელად. სერიოზული კორპორატიული საიტის ვიზიტორებს ხშირად უჩნდებათ კითხვები შეთავაზებული პროდუქტების/მომსახურებების ან საიტთან მუშაობის ირგვლივ. როგორც წესი, ეს კითხვები მეორდება. ხ.დ.კ. მოდული საშუალებას იძლევა შეიქმნას სპეციალური ფორმა საიტზე ვიზიტორთა შეკითხვებისათვის და ამასთანავე მოხდეს იმ კითხვების ჩვენება, რომლებზეც პასუხი უკვე გაცემულია. ამგვარად თავიდან ავიცილებთ კითხვების გამეორებას.

- **ფორუმი** იძლევა საიტის ვიზიტორებს შორის ურთიერთობის შესაძლებლობას. ფორუმი წარმოადგენს ყველა საინტერესო და დინამიურად განვითარებადი ინტერნეტ-პროექტის აუცილებელ ატრიბუტს, რადგან ვიზიტორებს სურვილი აქვთ არა მხოლოდ გაეცნონ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალებს, არამედ გამოთქვან თავისი აზრი და მონაწილეობა მიიღონ მის განხილვაში.

- **ბმულების გაცვლა.** საძიებო სისტემებისათვის საიტის ოპტიმიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია ბმულების არსებობა. მონათესავე თემატიკის საიტების მფლობელები ხშირად ახდენენ ბმულების ურთიერთგაცვლას, რაც ზრდის ვებ-გვერდის რანჟირებას. ბმულების გაცვლის მოდული ახდენს მეგობარ საიტებთან ბმულების გაცვლის პროცესის მაქსიმალურ ავტომატიზაციას. საიტზე არსებული ბმულების მართვის მოდულს გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

- **კალათის** მოდული იძლევა სრულფასოვანი ინტერნეტ-მაღაზიის ორგანიზების საშუალებას. იგი შესაძლებლობას აძლევს კლიენტებს აარჩიონ და შეუკვეთონ პროდუქტები კატალოგიდან, აგრეთვე მოახდინონ შეკვეთის მართვა მოხერხებული ინტერფეისით.

- **პროდუქტების კატალოგის** მოდული გამიზნულია ონლაინ-გაყიდვების ორგანიზების მსურველთათვის და წარმოადგენს სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ კომპონენტს. სპეციალურად

შემუშავებული ალგორითმი კი საშუალებას გაძლევთ შეუზღუდავად მიუთითოთ პროდუქტების აღწერილობა და პარამეტრები. ამასთან, თუ საიტზე რამოდენიმე კატალოგია, თითოეულ კატალოგში პროდუქტებს შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული პარამეტრების ჩამონათვალი.

- **სისტემასთან წვდომის გამიჯვნა გამოიყენება** დიდი საიტების შემთხვევაში, რომელთა მართვასაც რამოდენიმე ადმინისტრატორი ახორციელებს და საჭირო ხდება უფლებების გამიჯვნა. მოდულის დახმარებით ადმინისტრირების სისტემაში შეიძლება შეიქმნას რამოდენიმე მომხმარებელი სისტემის თითოეულ განყოფილებასთან წვდომის ინდივიდუალური უფლებებით.

3. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში მოცემულია ვებ საიტების შექმნის, რედაქტირებისა და მართვის მეტად აქტუალური საკითხების გადაჭრის ერთ-ერთი გზა, რომელიც მდგომარეობს საიტის ადმინისტრირების მოხერხებული და ადვილად ასათვისებელი სისტემა BinN S. Builder-ის დანერგვასა და გამოყენებაში. წინამდებარე სტატიაში მოყვანილია BinN S. Builder სისტემის ფუნქციონალური შესაძლებლობები და უპირატესობები. აღნიშნული სისტემა არის იოლად ასათვისებელი და გამოყენებადი. მასთან მუშაობა მთლიანად დაფუძნებულია მძლავრ ვიზუალურ რედაქტორზე და არ საჭიროებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აუცილებლობას. ნაშრომში განხილული სისტემა შედგება სხვადასხვა დანიშნულების მრავალი მოდულისაგან. რომლის ბაზაზეც, საიტის ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს მოდულების სასურველი კომპლექტაცია. ასევე შესაძლებელია ახლი მოდულების შექმნა და ინტეგრირება მოცემულ სისტემაში.

ლიტერატურა:

1. Джон К. Вандюк, Мэтт Вестгейт. Руководство по разработке системы управления сайтом. Вильямс, 2008 г.
2. Горнаков С.Г. Осваиваем популярные системы управления сайтом. ДМК, 2008 г.
3. <http://www.sbuilder.ru/>

CONTENT MANAGEMENT SYSTEM CMS BinN S. Builder

Chikashua Ekaterina, Tsiramua Zaza, Kaishauri Tinatin

Georgian Technical University

Summary

In article principles of management web site using modern information technology are considered. Having own professionally issued and technically serviceable virtual representation is one of the basic indicators of stability and competence for today. The most convenient system of administration of site BinN S Builder is presented in the article which consists of many modules with various functions. According to functional requirements the user can execute a complete set of modules. Questions of system functioning and its advantage are considered.

СИСТЕМА УПРАВЛЕНИЯ САЙТОМ CMS BinN S. Builder

Чикашуа Е.А., Цирамуа З.Г., Каишаури Т.В.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены принципы управления веб сайтом с использованием современных информационных технологий. На сегодняшний день одним из основных показателей стабильности и компетентности является наличие собственного профессионально оформленного и технически исправного виртуального представительства. В статье представлена удобная в работе система администрирования сайта BinN S. Builder, которая состоит из многих модулей с различными функциями. Исходя из функциональных требований пользователь может выполнить желаемую комплектацию модулей. Рассмотрены вопросы функционирования системы и ее преимущества.